ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 6-07/188324-16 26 12 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში, (საკ.კოდი №01.19.16.003.045) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში, (საკ.კოდი №01.19.16.003.045) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

1.ადმინისტრაციული შენობა:
„1-6" ფასადზე 4-6 მონაკვეთში შეცვლილა მოპირკეთების კონფიგურაცია და ფერი. ±0,00 ნიშნულზე შემცირებულია შესასვლელი კარის სიმაღლე დაახლოებით 0,10 მ-ით. 3-4 მონაკვეთში შემცირებულია ერთი ფანჯრის სიმაღლე დაახლოებით 0,50 მ-ით. 5-6 მონაკვეთში +3,38 და +6,68 ნიშნულებზე არ არის შევსებული ღიობები სრულად. 3-4 მონაკვეთში წყალშემკრებ მილს მონაცვლებული აქვს ადგილი, ხოლო 6-6 ღერძზე შემცირებულია მისი სიგრძე.
„A-C" ფასდზე A-B მონაკვეთში ±0,00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატები და შემცირებულია მათი სიმაღლე დაახლოებით 0,25 მ-ით. სხვენში გაზრდილია ცხაურის ღიობის სიმაღლე დაახლოებით 0,10 მ-ით. B-B ღერძზე სახურავის ძირში დამატებულია სახურავის კონსტრუქციული ელემენტი.
„C-A" ფასადზე B-A მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგების და ფანჯრების ნახატები. C-B მონაკვეთში კარის ღიობი შემცირებულია სიგანეში და შესავსებია. სხვენში გაზრდილია ცხაურის ღიობის სიმაღლე დაახლოებით 0,10 მ-ით. B-B ღერძზე სახურავის ძირში დამატებულია სახურავის კონსტრუქციული ელემენტი.

<u>შენიშვნა: პროექტში არ არის „6-1" ფასადის ნახაზი და შემოწმებულია რენდერის და გეგმების ნახაზების მიხედვით.</u>
ფასადზე კარების თავზე არ არის მოწყობილი საჩრდილობლები. შეცვლილია სამერცხლეში მოწყობილი ფრამუგის ფორმა. წყალშემკრებ მილს მონაცვლებული აქვს ადგილი.
შენობის ცოკოლი ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია.
B-B ღერძზე სამივე სართულზე ნაწილობრივ შეცვლილია მზიდ კედელში მოწყობილი ღიობების გაბარიტები და ადგილმდებარეობა, ხოლო +3,38 ნიშნულზე B-A მონაკვეთში მზიდ კედელში დამატებულია ერთი ღიობი. +6,68 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში დამატებულია სხვენში ასასვლელი კიბე. პროექტში არ არის ნაჩვენები სართულშუა [illegible] კარებით.

2.სასაწყობე ანგარი დიდი:

„1-11" ფასადზე 1-2 და 7-8 მონაკვეთებში შეცვლილია კარების ნახატები, 1-2 მონაკვეთში მოწყობილი კარი ჩაწეულია 1-1 ღერძისკენ. 8-10 მონაკვეთში ორი ორფრთიანი კარების ნაცვლად მოწყობილია ვერტიკალურად მოძრავები და შეცვლილია მათი ნახატი. 7-10 მონაკვეთში საჩრდილობლის ძირში დამატებულია ლითონის შველერები. +5,55 ნიშნულზე გაზრდილია ღიობის სიგანე.
„B-A" ფასადზე +5,55 ნიშნულზე გაზრდილია ღიობის სიგანე.
საპროექტო რელიეფი არ შეესაბამება არსებულს და შენობის პერიმეტრზე მოწყობილია მონოლითური ცოკოლი.
ფასადებზე დამატებულია წყალშემკრები მილები.
პროექტში არ არის ნაჩვენები ანგარის კონსტრუქციული ელემენტები.

3.სასაწყობე ანგარი პატარა:
ფასადებზე რვა წყალშემკრებ მილს მონაცვლებული აქვს ადგილი და დამატებულია ოთხი.
საპროექტო რელიეფი არ შეესაბამება არსებულს და შენობის პერიმეტრზე მოწყობილია მონოლითური ცოკოლი.

4.სარეზერვუარო ანგარი:
ფასადებზე არ არის მოწყობილი კედლები და სახურავი არ არის დასრულებული.

საქვაბე და საზაფხულო ფარდული:
„1-6" ფასადზე 3-6 მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და არ არის მოწყობილი სარინელი.
„6-1" ფასადზე 6-3 მონაკვეთში მოწყობილია ორი აირგამწოვი და ორი მცირე ზომის ღიობი და არ არის მოწყობილი სარინელი. სახურავზე საკვამურზე არ არის მოწყობილი ქუდი.
„C-A" ფასადზე შეცვლილია კარის ნახატი და ფანჯარაზე მოწყობილია ცხაური.
„A-C" ფასადზე კედელი ნაცვლად ცემენტის ხსნარით შელესვისა და შეღებვისა მოპირკეთებულია აგურით.

დაცვის ჯიხური:
„2-1" და „1-2" ფასადებზე შეცვლილია კარების ნახატი.
„B-A" ფასადზე კედელში მოწყობილია პლასტმასის მილი.

წყლის რეზერვუარი:
გეგმაზე: „B-B" ღერძზე გაუქმებულია ფრამუგა და მის გვერდით კარი არ არის მოწყობილი.
„2-4" მონაკვეთში „A-A" ღერძზე მონოლითურ კედელში მოწყობილია მცირე ზომის ღიობი.

ტერიტორია არ არის სრულად კეთილმოწყობილი და არ არის მოწესრიგებული. დამატებით მოწყობილია წყლის სადინარები. ადმინისტრაციული შენობი, საქვაბე და საზაფხულო ფარდულის და დაცვის ჯიხურის ფასადის ფერები არ შეესაბამება საპროექტოს.
ღობის ნაწილი სცდება წითელ ხაზს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;
შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს „ინსტა"-ს, გიორგი ბახსოლიანს ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში, (საკ.კოდი №01.19.16.003.045) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №07/188324-16 21.12.2012წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე გ. მუკჯირიშვილი